ახალგაზრდა გეოლოგები დარიალის ხეობაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის IV კურსის სტუდენტები **ნიკა მომცელიძე** და **გიორგი ურგებაძე** ყაზბეგის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ. მათი მიზანი იყო ადგილზე დაეთვალიერებინათ 23 მაისს დევდორაკის ხეობაში გააქტიურებული სტიქიური პროცესების შეგედად დაზიანებული ტერიტორია. მდ. დევდორაკის ხეობა ერთ-ერთი ყველაზე საშიში და რთული სტიქიური ხასიათით გამოირჩევა. უხვი ატმოსფერული ნალექის გამო, ხეობაში ხშირია ღვარცოფული ნაკადის წარმოქმნის შემთხვევები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ინფრასტრუქ-ტურას და დასაქმებულ პერსონალს. სტუდენტებს ადგილზე სხვადასხვა უწყების წარმომად-გენლები და გეოლოგები დახვდნენ, რომლებიც სტიქიის მიზეზებსა და შედეგებს სწავლობდნენ.